ოქმი:**ო05. 3723361001**

თარიღი:**27/12/2023**

ოქმი N 9
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2023 წელი, 26 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ე. გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ხ. ცერცვაძე, ვ. ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ე. გორდელაძემ, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ”ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე, აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის სტიქიურმა მოვლენებმა ნათელყო, რომ საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი ხარჯები არასაკმარისია და ვერ ანაზღაურებს რეალურად გაწეულ ხარჯებს, ამდენად მიზანშეწონილია ხარჯების ზღვრული ოდენობის გაზრდა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს.

მეორე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ საკითხის კომისიაზე განსახილველად შემოტანა განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილების პროექტში არსებული ტექნიკური შენიშვნების გამო დაევალა პროექტის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენა, მერიამ წარმოადგინა შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული ვერსია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივი

თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი